



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### ბოპი ფრანც

ბოპი (Bopp) ფრანც (14. IX. 1791, მაინცი, - 23. X. 1867, ბერლინი), გერმანელი ენათმეცნიერი, ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნ. ერთ-ერთი ფუძემდებელი. ბერლინის უნ-ტის პროფესორი (1821-64), პრუსიის მეცნ. აკად. წევრი (1822).

ბ-ის ფუნდამენტური გამოკვლევაა „შედარებითი გრამატიკა სანკრიტისა, ზენდისა, სომხურისა, ბერძნულისა, ლათინურისა, ლიტვურისა, ძველი სლავურისა, გუთურისა და გერმანულისა“ (ტ. 1-3, 1833-52), სადაც შედარებითი მეთოდი გამოყენებულია ინდოევრ. ენათა მთელი გრამატ. წყობის მიმართ.

ბ. შეეცადა დაემტკიცებინა ინდოევრ. ენებთან მალაიურ-პოლინეზიური (1840), აგრეთვე ქართველური ენების ნათესაობა („ქართულის შესახებ ენათა ნათესაობის თვალსაზრისით“ 1846; 1847 გამოსცა წიგნად - „ინდოევროპულ ენათა ოჯახის კავკასიური წევრები“).

*თბზ.*: Die kaukasischen Glieder des indoeuropäischen Sprachstammes, B., 1847; Vergleichende Grammatik des Sanskrit, Zend, Armenischen, Griechischen, Lateinischen, Litauischen, Altslavischen, Gothischen und Deutschen, 3. Ausg., Bd. 1-3 B.-P., 1868-71.

*ლიტ.*: ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ა., იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბ., 1965.

**თ. შარაძენიძე**

---